კოლექტიური ხელშეკრულება № 17

ქ. ლაგოდეხი 01 ივნისი 2015წ.

ერთი მხრივ, სსიპ ლოგოთის მუნიციპალიტეტის ლაგოდეხის საჯარო სკოლა სახით, შემდგომ ტექსტში წოდებული „სკოლა", ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვარს №542 გადაწყვეტილებით) მისი პრეზიდენტის მაია კობახიძის სახით, შემდგომ ტექსტში წოდებული „პროფკავშირი", საქართველოს კონსტიტუციის, კანონის "პროფესიული კავშირების შესახებ," კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," საქართველოს შრომის კოდექსის, ევროპის სოციალური ქარტიის და სხვა საერთაშორისო ნორმების, ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 2 მარტის №57 ბრძანების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ზოგადი დებულებები

1.1. კოლექტიური ხელშეკრულების მიზანია სკოლასა და პროფკავშირს შორის თანამშრომლობა პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვა ზოგადი განათლების მიღების კანონმდებლობით აღიარებული პრინციპების დაცვით.
1.2. მხარეები აღიარებენ ერთმანეთს, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორებს;
1.3 მხარეები დასაქმებულთა კორპორაციული ინტერესების გარდა აღიარებენ მოსწავლის კანონიერი ინტერესების დაცვის უპირატესობას.
1.4. წინამდებარე კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირზე (შემდგომში „დასაქმებული"), რომელიც ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის არის ან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გახდა პროფკავშირის წევრი;
1.5 შესაძლებლობის ფარგლებში წევრის კეთილსინდისიერი შრომისა და სამსახურეობრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის წახალისების მიზნით მხარეები თანამშრომლობენ ერთობლივი გადაწყვეტილებების მისაღებად.
1.6 მხარეები თანამშრომლობენ პროფკავშირის წევრის (დასაქმებულის) პროფესიული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმის, მონიტორინგისა და რეგულირების მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.
1.7. ადმინისტრაცია ცნობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს, როგორც დასაქმებულთა გაერთიანებას და თავს იკავებს ყოველგვარი ჩარევისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება პროფკავშირში გაერთიანების უფლებას.
1.8 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ნებაყოფლობითობის, ურიერთპატივისცემის, კანონის უზენაესობის და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვით.

2. მხარეთა ურთიერთვალდებულებები

2.1 „სკოლა" ვალდებულია:

2.1.1 უზრუნველყოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმებულის უფლებების დაცვა;
2.1.2 უზრუნველყოს შინაგანაწესის და მასში შესული ნებისმიერი ცვლილების თუ დამატებების გაცნობა დასაქმებულისათვის;

2.1.3 არსებული მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შექმნას პროფესიული კავშირის საქმიანობისთვის საჭირო პირობები (გამოუყოს შეხვედრებისათვის ფართი არასაგაკვეთილო საათებში).
2.1.4 პროფკავშირის წევრთა პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დასაქმებულის ხელფასიდან ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, გადარიცხოს საწევრო ანარიცხები (საწევროს ოდენობა განისაზღვრება პროფკავშირის წესდებით და შეადგენს ხელფასის 1%) პროფკავშირის ანგარიშზე, ხელფასის გაცემის დღიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა;
2.1.5 სასწავლო პროცესისთვის ხელის შეუშლელად, ნება დართოს პროფკავშირის წარმომადგენლებს შენობაში თავისუფლად შესვლასა და გადაადგილებაზე, თანამშრომლებთან შეხვედრაზე. დაუშვებელია შეხვედრის პოლიტიკური, კომერციული ან იმ მიზნით გამოყენება, რომელიც არ არის დაკავშირებული პროფესიული კავშირის საქმიანობასთან.
2.1.6 უზრუნველყოს საწევრო ანარიცხების გადარიცხვასთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების საფასურის ანაზღაურება საწევრო ანარიცხების თანხიდან, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია გადაუგზავნოს სპმთპ-ის ცენტრალურ ოფისს.

2.2. „პროფკავშირი" ვალდებულია:

2.2.1 დაიცვას თავისი წევრების შრომითი, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები;
2.2.2 იყოს თავისი წევრების წარმომადგენელი, სკოლასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
2.2.3 მონაწილეობა მიიღოს შრომითი დავის ობიექტურად გადაწყვეტაში;
2.2.4 ხელი შეუწყოს თავის წევრებს კვალიფიკაციის ამაღლებაში;
2.2.5 დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების 1.6 მუხლით გათვალისწინებული ნორმები;

3. ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება

3.1 მხარეები ვალდებულებას იღებენ დაიცვან წინამდებარე დებულებები და უზრუნველყონ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
3.2 მხარეები ახორციელებენ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების კონტროლს და ორგანიზებას უწევენ საერთო ვალდებულებების შესრულებას.

4. დავების გადაწყვეტის წესი

4.1 ყველა სადავო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო;
4.2 ხელშეკრულების შესრულებისას წარმოქმნილი სადავო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს წერილობით.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ახალი ხელშეკრულების დადებამდე; (31. 12. 2016 წლამდე)
5.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს, წინამდებარე პირობების დარღვევისა და შესაბამისი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის გაუქმების შემთხვევაში.

5.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა ხელშეკრულების მხარეებს (თითო მხარეს - თითო ეგზემპლარი).

6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

6.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7. მხარეთა რეკვიზიტები

„სკოლა"

ს/ს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ყინწვილის საჯარო სკოლა"

დირექტორი: ---
ხვიჩა ხიციკიშვილი

მისამართი: დ. ყინწვილი,
დ. ფოინტაძის ქუჩა №2.

საიდენტიფიკაციო კოდი: №: 229275897
საბანკო რეკვიზიტები:
№: GE33LB0121150856948000
„ლიბერთი ბანკი" ბორჯომის ფილიალი

ტელ.: 577 67-66-26

ხელმოწერა ---
მ.ა

„პროფკავშირი"

სპმთპ-ის პრეზიდენტი
მაია კობახიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჟვანიას მ.
არშბას ქუჩა, №5

საიდენტიფიკაციო კოდი: 211372593
საბანკო რეკვიზიტები:
GE57LB0125110353147008
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101403)
ტელ.: 237 30 67 \ 599 90 17 37

ხელმოწერა ---
მ.ა